შეთანხმება №14/02-217/255ც

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-217 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი **30 მარტი 2020 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს ადმინისტრაციის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **თამარ ჩუბინიძის** სახით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **მონაცემთა გაცვლის სააგენტო** (შემდგომში - მონაცემთა გაცვლის სააგენტო), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის, **ნიკოლოზ გაგნიძის** სახით, **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის, **მიხეილ ჯანიაშვილის** სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **თენგიზ აბაზაძის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-217 ხელშეკრულების 10.2 პუნქტისა და მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 16 მარტის №04/7782 (სააგენტოში რეგისტრაციის №43895, 16.03.2020წ.) წერილის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანია მხარეთა შორის 2014 წლის 23 დეკემბერს დადებულ №14/02-217 ხელშეკრულებაში (შემდგომში - ხელშეკრულება) ცვლილების შეტანა.

მუხლი 2. ცვლილება ხელშეკრულებაში

2.1 ხელშეკრულების 6.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - **ვლადიმერ სიჭინავა** (მობ.: 577615599; ელ. ფოსტა: l.sichinava@sda.gov.ge); მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მხრიდან - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსი - **ირაკლი მაისაია** (მობ.: 591440644; ელ. ფოსტა: imaisaia@dea.gov.ge); სამინისტროს მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი - **ირაკლი ელიაშვილი** (მობ.: 577178877; ელ-ფოსტა: ieliashvili@moh.gov.ge); სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან - სოციალური მომსახურების სააგენტოს მთავარი სპეციალისტი - **ზურაბ ბატიაშვილი** (მობ.: 577944991; ელ-ფოსტა: zbatiashvili@moh.gov.ge)“.

2.2 ხელშეკრულების 7.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.1 ელექტრონული სერტიფიკატის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - **ვლადიმერ სიჭინავა** (მობ.: 577615599; ელ. ფოსტა: l.sichinava@sda.gov.ge), ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან - სოციალური მომსახურების სააგენტოს მთავარი სპეციალისტი - **ზურაბ ბატიაშვილი** (ტელ.: 577944991; ელ-ფოსტა: zbatiashvili@moh.gov.ge).“.

2.3 ხელშეკრულების 10.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2014 წლის 23 დეკემბრიდან და ძალაშია 2021 წლის 22 აპრილის ჩათვლით.“.

თამარ ჩუბინიძე	**ნიკოლოზ გაგნიძე**	**მიხეილ ჯანიაშვილი**	**თენგიზ აბაზაძე**

მუხლი 3. დამატებითი პირობები

3.1 შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3.2 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

3.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები

4.1 **სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“** – მის.: ქ. თბილისი, 0154, აკ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი 202307404.

4.2 **სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“** – მის.: ქ. თბილისი, გ. დანელიას ქ. №17, ს/კოდი 204577699.

4.3 **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** - მის.: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 211333957.

4.4 **სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“** - მის.: თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 202178927.

Nikoloz Gagnidze Digitally signed by Nikoloz Gagnidze Date: 2020.03.30 17:03:14 +04'00'

თამარ ჩუბინიძე	ნიკოლოზ გაგნიძე	მიხეილ ჯანიაშვილი	თენგიზ აბაზაძე